საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

25/12/2024

MES 5 24 0001656484

გადაწყვეტილება

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 1 მაისის №1199/01-01-31-05 (ცენტრში რეგისტრაციის - №493574) წერილით წარმოდგენილ იქნა შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო"; "ბიზნეს ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო "; "ბიზნეს ადმინისტრირება ფინანსებში (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო"; "ციფრული მენეჯმენტი სამაგისტრო"; "ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო" და "საჯარო მმართველობის სამაგისტრო "საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე განაცხადი.
ცენტრის 2024 წლის 20 მაისის№548622 კორესპონდენციით განაცხადს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის პასუხად, 2024 წლის 27 მაისს №1370/01-01-31-04-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №581129) დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული დოკუმენტაცია.
2.2. ცენტრის 2024 წლის 8 მაისის №588629 ბრძანების საფუძველზე, სშპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 7 აგვისტოს №953541 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო"; "ბიზნეს ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო "; "ბიზნეს ადმინისტრირება ფინანსებში (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო"; "ციფრული მენეჯმენტი სამაგისტრო"; "ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო" და "საჯარო მმართველობის სამაგისტრო "საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 30 სექტემბერს, 1 და 2 ოქტომბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,	**x**			

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 11 დეკემბერს.
2.4 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 2.4 კომპონენტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის

ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 11 დეკემბრამდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 25 დეკემბრის №1655818 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

l რეკომენდებულია, ერთ პირზე სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის რაოდენობის შემცირება. ეს უზრუნველყოფს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ოპტიმალურ დატვირთვას და დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სათანადო ხელმძღვანელობას. 3.2
l რეკომენდებულია წვდომის მოპოვება ფინანსურ და/ან ეკონომიკურ მონაცემთა ბაზებზე, სასურველია საერთაშორისო ბაზრების ჩართულობით. 4.4

კლასტერის საერთო რჩევები:

l ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, სასურველია უნივერსიტეტმა ან ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია, თუ როგორ მოხდეს მათი გამოყენების რეგულირება ან მხარდაჭერა სწავლებისა და კვლევის პროცესში. 2.3
l სასურველია, თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმებში მითითებული უმაღლესი და უდაბლესი შეფასებები განისაზღვროს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქულის სახით. 2.4
l სამომავლოდ ბიზნეს პროგრამების კურსდამთავრებულთათვის მაქსიმალურად ფართო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება გაფართოვდეს და მოიცვას მეწარმეობისა და თვითდასაქმების საკითხები. 3.1
l სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების (CV-ების) რეგულარული განახლება ბოლო სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვით. (4.1)
l არსებული ეროვნული ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების გარე კოლეგიალური შეფასების ჩარჩოს გარდა, სასურველია არსებული ქსელის გამოყენება და გარე კოლეგიალური შეფასების გაფართოება უცხოელი ექსპერტების ჩართვით.(5.2)

პროგრამული რჩევები:

პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება"):
l სასურველია სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ მინიმუმ ერთი პუბლიკაცია Scopus-ის ბაზაში მათ მიერ სახელმძღვანელო დისერტაციის შესაბამის სფეროში. 3.2

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 11 დეკემბერს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად